„ჯეოფაქტსის“

სარედაქციო საბჭოს დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

დებულება განსაზღვრავს „ჯეოფაქტსის“ სარედაქციო საბჭოს უფლებამოსილებასა და სარედაქციო საბჭოს მუშაობის პრინციპებს;

მუხლი 2.

საბჭო წარმოადგენს „ჯეოფაქტსში“ მოქმედ კოლეგიურ ორგანოს.

მუხლი 3.

საბჭო ვალდებულია მოქმედებდეს „ჯეოფაქტსის“ „ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის“ (IFCN) და „ფაქტების გადამოწმების ევროპული სტანდარტების ქსელის“ (EFCSN) წევრობის/ხელმომწერის სტატუსით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 4.

საბჭო თავისი ფუნქციების და ამოცანების განხორციელებისას ხელმძღვანელობს ორგანიზაციის წესდებით, ორგანიზაციაში მოქმედი შინაგანაწესითა და ესტონეთის კანონმდებლობით.

თავი II

საბჭოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 5

საბჭოს საქმიანობის მიზანია სარედაქციო პოლიტიკა იყოს თავისუფალი, ობიექტური, დაბალანსებული, ეთიკური და მუდმივად ვითარდებოდეს პრიორიტეტებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და ორგანიზაციის საქმიანობა შეესაბამებოდეს „ჯეოფაქტსის“ სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ გაერთიანებაში წევრობით აღებულ ვალდებულებებს.

მუხლი 6

საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

6.1. ზოგადი სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრა და მისი მუდმივი განვითარება;

6.2. სარედაქციო პოლიტიკის დარღვევის შემთხვევების დროული გამოვლენა და გადაჭრის უზრუნველყოფა;

მუხლი 7

დასახული ამოცანების შესრულებისას საბჭო უფლებამოსილია:

7.1. განსაზღვროს მკაფიო სარედაქციო პოლიტიკა;

7.2. განიხილოს და პრევენციული ღონისძიებები დასახოს ობიექტური, დაბალანსებული და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების აღმოსაფხვრელად;

7.3. განიხილოს რედაქტორების მიერ დაყენებული პრობლემური საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

7.4. განახორციელოს ანალიტიკოსების კანდიდატების განხილვა და შერჩევა;

7.5. ახორციელებს სასურველ ავტორებთან თანამშრომლობისა და მათთან ურთიერთობის განვითარების იდეების განხილვას;

7.6. ახორციელებს ვებ-გვერდზე განსათავსებელი მასალის შესახებ იდეების განხილვასა და შერჩევას;

7.7. საჭიროებისამებრ სარედაქციო პოლიტიკის გადახედვასა და კორექტირებას;

7.8. განსაზღვროს „ჯეოფაქტსის“ მუშაობის მეთოდოლოგია, შესწორების პოლიტიკის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობა; განსაზღვროს საკითხის იმპლემენტირებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და გაუწიოს მონიტორინგი გადაწყვეტილების აღსრულებას;

7.9. საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრასა და აღსრულების მონიტორინგს.

თავი III

საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 8

8.1. საბჭო შემადგენლობაში შედიან „ჯეოფაქტსის“ მთავარი რედაქტორი და უფროსი ანალიტიკოსები;

8.2. საბჭოს თავმჯდომარეა „ჯეოფაქტსის“ მთავარი რედაქტორი;

8.3. საბჭოზე გადაწყვეტილების მისაღებად თითოეული წევრის ხმას აქვს თანაბარი წონა და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;

8.4. საბჭოში მუდმივ ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით ჩაერთონ ორგანიზაციაში დასაქმებული სხვა პირები;

8.5. საბჭოს სხდომა როგორც წესი დახურულია. სხდომა შეიძლება ღიად გამოცხადდეს მესამე პირებისთვის დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით;

8.6. საბჭოს სხდომაში, მის საქმიანობაში და კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ სარედაქციო საბჭოს წევრები.

მუხლი 9

9.1. საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ და საჭიროებისამებრ. სხდომა იმართება როგორც ფიზიკურ სივრცეში, ასევე, შესაძლოა, ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით. საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს თავმჯდომარე;

9.2. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი თუ სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც;

9.3. საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე დამსწრე პირთა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღოს რეკომენდაციები, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია „ჯეოფაქტსში“ დასაქმებული ყველა პირისათვის;

9.4. საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ან, საბჭოს გადაწყვეტილებით, „ჯეოფაქტსში“ დასაქმებულ სხვა პირთაგან, ირჩევს საბჭოს მდივანს, რომელიც უზრუნველჰყოფს ორგანიზაციული ხასიათის საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევში, საბჭოს შეხვედრების საოქმო ჩანაწერების წარმოებას;

9.5. საბჭოს ოქმების აღრიცხვას და დაცვას უზრუნველყოფს „ჯეოფაქტსის“ ადმინისტრაცია.

თავი IV

სარედაქციო საბჭოს დამოუკიდებლობა

მუხლი 10

სარედაქციო საბჭო „ჯეოფაქტსის“ სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და საქმიანობაში სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით „ჯეოფაქტსის“ პარტნიორების, დონორების თუ სხვა - ორგანიზაციასთან რაიმე ფორმით აფილირებული თუ არააფილირებული მესამე პირებისაგან, მათ შორის პოლიტიკური სუბიექტებისგან, საჯარო ფიგურებისგან და ა.შ;

თავი V

დასკვნითი დებულება

მუხლი 11

საბჭოს დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით;

მუხლი 12

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული საბჭოს მიერ.

მარიამ წიწიკაშვილი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე

ვანო გურეშიძე

სარედაქციო საბჭოს წევრი

იაკობი ლაჩაშვილი

სარედაქციო საბჭოს წევრი